ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3065262

ნომერი: AR1471886

თარიღი : 20.01.2017

გაცემის თარიღი : 30.01.2017

გაცნობის თარიღი : 30.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , მიმდებარედ (ნაკვეთი 03/042)/ ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , მიკრო/რაიონი IV , კვარტალი III , N14 კორპუსის მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე იოსავა პ/ნ 01012004071
- ბეთლემის ქუჩა3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 აგვისტოს № 2797772 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 20

იანვარს №AR1471886 განცხადებით მომართა მარინე იოსავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 25 აგვისტოს №2797772 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 და +12.80 ნიშნულებზე მდებარე გეგმების ჩანაცვლება 2017 წლის 20 იანვრის №AR1471886 განცხადებით წარმოდგენილი 0.00 და +12.80 ნიშნულებზე მდებარე გეგმებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 აგვისტოს №2797772 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა შანდორ პეტეფის, მიმდებარედ (ნაკვეთი 03/042) / ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მიკრო/რაიონი IV, კვარტალი III, №14 კორპუსის მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.17.10.003.075), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და 2016 წლის 02 სექტემბრის №2811422 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 02 სექტემბრიდან 2017 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით. სამსახურის 2016 წლის 26 აგვისტოს №2799212 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2016 წლის 25 აგვისტოს №2797772 ბრძანებაში სამშენებლო ობიექტის ფუნქციურ დანიშნულებასთან დაკავშირებით. სამსახურის 2016 წლის 4 ოქტომბრის №2839218 ბრძანებით ჩანაცვლდა სამსახურის 2016 წლის 25 აგვისტოს №2797772 ბრძანებით შეთანხმებული +9.60 და +12.80 ნიშნულების გეგმებით.
სამსახურის 2016 წლის 25 აგვისტოს №2797772 და 2016 წლის 02 სექტემბრის №2811422 ბრძანებებში დამკვეთად მითითებულია შპს ზიკო. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: №B15084992; მომზადების თარიღი: 20/04/2015 წ.; ს/კ: №405008977) თანახმად, შპს ზიკოს დირექტორს წარმოადგენს მარინე იოსავა. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: №882015208488, მომზადების თარიღი: 23/04/2015 წ., ს/კ: №01.17.10.003.075) შესაბამისად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ზიკო.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2016 წლის 25 აგვისტოს №2797772 ბრძანებით შეთანხმებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები არ იცვლება და ითხოვს მხოლოდ 2016 წლის 25 აგვისტოს №2797772 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 და +12.80 ნიშნულების გეგმებით ჩანაცვლებას 2017 წლის 20 იანვრის №AR1471886 განცხადებით წარმოდგენილი 0.00 და +12.80 ნიშნულების გეგმებით.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 აგვისტოს №2797772 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 აგვისტოს №2797772 ბრძანებაში, კერძოდ: 2016 წლის 25 აგვისტოს №2797772 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 და +12.80 ნიშნულებზე მდებარე გეგმები ჩანაცვლდეს 2017 წლის 20 იანვრის AR1471886 განცხადებით წარმოდგენილი 0.00 და +12.80 ნიშნულების გეგმებით;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 აგვისტოს №2797772 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 აგვისტოს №2797772 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.